

„ბავშვთა გასტროენტეროლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ბავშვთა გასტროენტეროლოგია.“

2. სპეციალობის შინაარსი:

ბავშვთა გასტროენტეროლოგია კლინიკური მედიცინის სპეციალობაა, რომლის მიზანია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, ღვიძლის, სანაღვლე გზების, პანკრეასის და კვების (ნუტრიციული) დარღვევებით მიმდინარე დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია და პროფილაქტიკა ბავშვთა (ახალშობილობიდან 18 წლის ჩათვლით) ასაკში.

3. ზოგადი ცოდნა:

ბავშვთა გასტროენტეროლოგიის სპეციალისტი უნდა ფლობდეს ცოდნას გასტროენტეროლოგიური ტრაქტის (პირის ღრუდან ანუსამდე), ვისცერული ორგანოების (ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი/სანაღვლე გზები, პანკრეასი) სტრუქტურის, ფუნქციების, ფიზიოლოგიის შესახებ, უზრუნველყოს თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებების, მეტაბოლიზმის და კვების დარღვევებით მიმდინარე პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა. ბავშვთა გასტროენტეროლოგს უნდა შეეძლოს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანოების პათოლოგიის და მდგომარეობების მართვა:

- ა) პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებები;
- ბ) საყლაპავის დაავადებები;
- გ) კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებები;
- დ) ნაწლავების დაავადებები;
- ე) ღვიძლის დაავადებები;
- ვ) ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებები;
- ზ) პანკრეასის დაავადებები;
- თ) კვების (ნუტრიციული) დარღვევები;
- ყ) გასტროინტესტინური ტრაქტის დაზიანებით მიმდინარე გენეტიკურად დეტერმინირებული და იშვიათი დაავადებები და მეტაბოლური დარღვევები;
- ო) გასტროინტესტინური ტრაქტის თანდაყოლილი ანომალიები
- კ) რაციონალური კვება გასტროინტესტინური პათოლოგიის, მეტაბოლური დარღვევების და კვების ქრონიკული მოშლის დროს.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	დაავადებები და პათოლოგიური მდგომარეობები	საქმიანობის მოცულობა
K12.0	პირის ღრუს მორეციდივე აფტები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K12.1	სტომატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K20	ეზოფაგატი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K21	გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი (ეზოფაგით, ეზოფაგიტის გარეშე)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K22	საყლაპავის სხვა ავადმყოფობები (კარდიული ნაწილის ახალაზია, წყლული, გაუვალობა, დისკინეზია, დივერტიკული, გასტრო-ეზოფაგური გასკდომის სინდრომი სისხლდენით, დაუზუსტებელი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K23	საყლაპავის დაზიანებები იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K25	კუჭის წყლული	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K26	თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K27	პეპტიური წყლული დაუზუსტებელი ლოკალიზაციის	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K28	გასტრო-იეინური წყლული	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K29	გასტრიტი და დუოდენიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K30	დისპეპსია	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.

K31	კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სხვა ავადმყოფობები (მწვავე გაგანიერება, ჰიპერტროფიული პილოროსტენოზი, კუჭის სილის საათისმაგვარი სტრუქტურა და სტენოზი, პილოროსტენოზი, კუჭის დივერტიკული, ფისტულა, თორმეტგოჯას გაუვალობა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K50	კრონის ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K51	წყლულოვანი კოლიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K52	სხვა არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K55	ნაწლავის სისხლმარღვოვანი ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, რეფერალი
K57	ნაწლავის დივერტიკულური ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K58	გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K59	ნაწლავის ფუნქციური მოშლილობები (ყაბზობა, ფადარათი, ნეიროგენული აგზნება, მეგაკოლონი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K60	ყითას და რექტული მიდამოს ნახეთქი და ფისტულა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K62	ყითას და სწორი ნაწლავის ავადმყოფობები (პოლიპი, სტენოზი, პროლაფსი, პროქტიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K63	ნაწლავის სხვა ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K64.8	სხვა დაზუსტებული ბუასილი (ჰემოროი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K64.9	ბუასილი (ჰემოროი) დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.

K71	ღვიძლის ტოქსიური ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K72	ღვიძლის უკმარისობა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K73	ქრონიკული ჰეპატიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K74	ღვიძლის ფიბროზი და ციროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K75	ღვიძლის სხვა ანთებითი ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K76	ღვიძლის სხვა ავადმყოფობები (გაცხიმება, პასიური სისხლსაცვობა, პურპურა, ვენური ოკლუზია, პორტული ჰიპერტენზია, ჰეპატო-რენული სინდრომი, დაუზუსტებელი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K77	ღვიძლის დაზიანება იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში (ციტომეგალოვირუსული, ჰერპეს ვირუსული, ტოქსოპლაზმური და სხვა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K80	ქოლელითიაზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K81	ქოლეცისტიტი (მწვავე, ქრონიკული, დაუზუსტებელი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
K82	ნაღვლის ბუშტის სხვა ავადმყოფობები (ობსტრუქცია, წყალმანკი, პერფორაცია, ფისტულა, ქოლესტეროზი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K83	სანაღვლე გზების სხვა ავადმყოფობები (ქოლანგიტი, ნაღვლის სადინრის დახშობა, პერფორაცია, ფისტულა, ოდის სფინქტერის სპაზმი, ბილიარული კისტა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K85	მწვავე პანკრეატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K86	პანკრეასის სხვა ავადმყოფობები (ქრონიკული პანკრეატიტი, კისტა, ფსევდოკისტა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

K87	ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზების და პანკრეასის დაავადებები იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში (ციტომეგალოვირუსული, ეპიდემიური პაროტიტი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K90	აბსორბციის დარღვევა ნაწლავებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K91	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში (პოსტოპერაციული ღებინება, მალაბსორბცია, გაუვალობა, კოლოსტომის და ენტეროსტომის ფუნქციური უკმარისობა, პოსტქოლეცისტექტომიური სინდრომი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
K92	საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ავადმყოფობები (ჰემატომეზისი, მელენა, გასტროინტესტინური სისხლდენა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
A09	სხვა გასტროენტერიტი და კოლიტი ინფექციური და დაუზუსტებელი ეტიოლოგიის	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
B19	ვირუსული ჰეპატიტი დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
B77	ასკარიდოზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
B80	ენტერობიოზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
D 50-D53	ალიმენტური ანემიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 40	კვამიორკორი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 41	ალიმენტური მარაზმი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 42	მარაზმული კვამიორკორი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

E 43	მძიმე ცილა-ენერგეტიკული დეფიციტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 44	ზომიერი და მსუბუქი ცილა-ენერგეტიკული დეფიციტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
E 45	ცილა-ენერგეტიკული დეფიციტით გამოწვეული ზრდა –განვითარებაში ჩამორჩენა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 46	ცილა-ენერგეტიკული დეფიციტი, დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 50-E 64	კვებითი დეფიციტის სხვა სახეები (ვიტამინების, მინერალების დეფიციტი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 66	ზოგადი სიმსუქნე	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 70- E 83	მეტაბოლური დარღვევები (ამინომჟავების, ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების, პურინების, ბილირუბინის, მინერალური ცვლის)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
E 84	ცისტური ფიბროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
Q 39	საყლაპავის თანდაყოლილი ანომალიები	დიაგნოსტიკა. რეფერალი
Q 40	ალიმენტური ტრაქტის ზედა ნაწილის თანდაყოლილი ანომალიები (საყლაპავის თიაქარი, ჰიპეტროფიული პილოროსტენოზი, კუჭის ანომალია)	დიაგნოსტიკა. რეფერალი
Q 41	წვრილი ნაწლავის თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზია, სტენოზი	დიაგნოსტიკა. რეფერალი
Q 42	მსხვილი ნაწლავის თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზია, სტენოზი	დიაგნოსტიკა. რეფერალი
Q 43	ნაწლავის სხვა თანდაყოლილი ანომალიები (მეკელის დივერტიკული, ჰირშპრუნგის დაავადება, გაორმაგება, ფიქსაციის ანომალია და სხვა)	დიაგნოსტიკა. რეფერალი

Q 44	ნადვლის ბუშტის, სანადვლე გზების და ღვიძლის თანდაყოლილი ანომალიები	დიაგნოსტიკა. რეფერალი
Q 45	საჭმლის მომნელებელი სისტემოს სხვა თანდაყოლილი ანომალიები (პანკრეასის აგენეზია, აპლაზია, რგოლისებური პანკრეასი, კისტა)	დიაგნოსტიკა. რეფერალი

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ბავშვთა გასტროენტეროლოგს შეუძლია შემდეგი კვლევების/ჩარევების მონაცემების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) კლინიკური კვლევები;
- ა.ბ) ნახველის, ასციტური სითხის მიკროსკოპული კვლევა;
- ა.გ) განავალი ფარულ სისხლდენაზე;
- ა.დ) განავლის კვლევა ჰელმინთებსა და პარაზიტებზე;
- ა.ე) სისხლის მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, აირთა ცვლის, ელექტროლიტების კვლევა;
- ა.ვ) ბიოქიმიური კვლევები;
- ა.ზ) იმუნოლოგიური კვლევები;
- ა.თ) მიკრობიოლოგიური კვლევები
- ა.ი) დუოდენური ზონდაჟის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- ა.კ) ნეიროენდოკრინული ჰორმონები;
- ა.ლ) კუჭის სეკრეტორული აქტივობის შეფასება (ინტრაგასტრალური PH მეტრია);
- ა.მ) *Helicobacter pylori* ინფექციის დიაგნოსტიკა;
- ა.ნ) ვირუსული ჰეპატიტების მარკერები;
- ა.ო) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ულტრაბგერითი კვლევა;
- ა.პ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური კვლევა;
- ა.ჟ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევა (ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კოლონოსკოპია, ენდოსკოპიული რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია);
- ა.რ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- ა.ს) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა;
- ა.ტ) ჰეპატობილიარული სისტემის სკანირება;
- ა.უ) ღვიძლის აუტოიმუნური დაავადებების, გენეტიკური და ნივთიერებათა ცვლის მოშლით განპირობებული დაავადებების დიაგნოსტიკა იმუნოფერმენტული ანალიზის, იმუნოფლუორესცენტული ანალიზის, იმუნობლოტინგის მეთოდებით;
- ა.ფ) გენეტიკური კვლევა (ქრომოსომული დარღვევების და გენეტიკური დაავადებების დიაგნოსტიკა);

- ა.ქ) პერკუტანული ტრანსკეპატური ქოლანგიოგრაფია;
- ა.ღ) ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევა;
- ა.ყ) სუნთქვის ტესტი;
- ა.შ) დატვირთვის ტესტები;
- ა.ჩ) ოფლის ტესტი;
- ა.ც) ბენედიქტის ტესტი.

ბ) ბავშვთა გასტროენტეროლოგს შეუძლია შემდეგი კვლევების/ჩარევების შესრულება:

- ბ.ა) ანთროპომეტრული მონაცემების აღება. ბავშვის წონის და კვებითი სტატუსის შეფასება (სიმაღლე, წონა, სხეულის მასის ინდექსი);
- ბ.ბ) თითოთ რექტალური გასინჯვა;
- ბ.გ) დეჰიდრატაციის ხარისხის შეფასება, ორალური რეჰიდრატაცია, ინფუზური თერაპია;
- ბ.დ) კუჭის და დუოდენუმის ზონდირება (ნაზოგასტრალური, ოროგასტრალური), ზონდით კვება;
- ბ.ე) კვების (ნუტრიციული) დარღვევების მართვა;
- ბ.ვ) მალაბსორბციით მიმდინარე დაავადებების მქონე პაციენტების კვების დაგეგმვა;
- ბ.ზ) პარენტერული (ინტრავენური) კვება;
- ბ.თ) კლინიკური კვლევების (სისხლი, შარდი, განავალი) ჩატარება;
- ბ.ი) განავლის კვლევა ფარულ სისხლდენაზე;
- ბ.კ) *Helicobacter pylori*-ით ინფიცირების განსაზღვრა სუნთქვის (ურეაზას) ტესტით;
- ბ.ლ) *Helicobacter pylori*-ით ინფიცირების განსაზღვრა ფეკალიებში;
- ბ.მ) დატვირთვის ტესტები;
- ბ.ნ) ტკივილის შეფასება ტკივილის შკალის მიხედვით და მართვა;
- ბ.ო) სასიცოცხლო ფუნქციების შეფასება. BLS - სიცოცხლის გადარჩენის საბაზისო ალგორითმი.
- ბ.პ) საყლაპავის მანომეტრია;
- ბ.ჟ) საყლაპავის და კუჭის PH-მეტრია-მონიტორინგი;
- ბ.რ) პაციენტის მართვა ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდეგ;
- ბ.ს) გასტროენტეროლოგიური ტრაქტის ენდოსკოპია.